თელავის რაიონული სასამართლოს ანგარიში
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის
შესაბამისად საჯარო ინფორმაციის
გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ III თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია თელავის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე ნანა თეთრაული.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით, თელავის რაიონული სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების ან ელექტრონული მატარებლის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლო საქმეების გაცნობას საამისოდ განკუთვნილ სპეციალურ დარბაზში და ა. შ.

2013 წლის განმავლობაში სააპელაციო სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 22 განცხადება შემოვიდა. შემოსულ განაცხადთაგან 20 მოთხოვნა დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა 2, ორივე შემთხვევაში დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის არ არსებობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ 1 შემთხვევაში განცხადებაზე პასუხის გაცემა მოხდა მხოლოდ ელექტრონული პროგრამის საშუალებით, 1 შემთხვევაში განცხადებაზე პასუხის გაცემა მოხდა როგორც წერილობითი სახით, ასევე ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, დანარჩენ შემთხვევაში მხოლოდ წერილობითუ სახით.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა თელავის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა.

საჯარო მოსამსახურის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირისთვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ ყოფილა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლისა და “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 00 ლარს და 00 თეთრს.

თელავის რაიონული სასამართლოს გახსნილი აქვს საკუთარი ინტერნეტ-ვებ-გვერდი _ www.telavi@court.ge რომლის საინფორმაციო მომსახურებით სარგებლობს მომხმარებელი